



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

თქვის მიმოხილვა

2022

“თვის მიმოხილვა“
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველწლიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259

სარჩევი

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება	4
2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა	8
3. საბანკო სექტორი	10
4. სავალუტო ბაზარი	15
5. ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი	19
6. საგარეო სექტორის მიმოხილვა	21

1. სამომხმარებლო ფასების ცვლილება

2022 წლის თებერვალში წლიურმა ინფლაციამ 13.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო ნოემბერთან შედარებით ფასებმა 0.9 პროცენტით მოიმატა.

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით ფასების ცვლილება ყველაზე მეტად სეზონურ ფაქტორებს უკავშირდებოდა. კიტრსა და პომიდორზე გაზრდილმა ფასებმა ინფლაცია ჯამში 0.3 პპ-ით გაზარდა, ხოლო ყველის ფასების კლებამ ინფლაცია ამდენითვე შეამცირა.

ბოლო პერიოდში კომუნალური გადასახადების გავლენა ინფლაციაზე მნიშვნელოვანია. როგორც წინა ანგარიშებში აღვნიშნეთ, კომუნალური გადასახადების გავლენა ინფლაციაზე მოიცავს როგორც გადასახადების გაძვირებას, ასევე სუბსიდირების დასრულების ეფექტს¹. დეკემბრიდან ამ ფაქტორებს საბაზო ეფექტი დაემატა. კერძოდ, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ეფექტი ინფლაციაზე 2020 დეკემბრიდან 2021 თებერვლის ჩათვლით აისახა, რის გამოც ინფლაციამ ამ პერიოდში იკლო. ერთი წლის შემდეგ, საბაზო ეფექტის გამო, კომუნალური გადასახადების გავლენამ წლიურ ინფლაციაზე დეკემბერში ნოემბერთან შედარებით 2.0 პპ-ით, 3.6 პპ-მდე მოიმატა. იანვარსა და თებერვალში კომუნალური გადასახადების წვლილი 3.6 პპ-ის დონეზე შენარჩუნდა.


წლიურ ჭრილში, ინფლაციაზე მნიშვნელოვან

გავლენას სურსათის ფასები ახდენს. სურსათის გაძვირება გლობალური ტენდენციაა, რაც საქართველოზეც აისახება. თებერვალში სურსათის წლიურმა ინფლაციამ 17.2 პროცენტი, ხოლო წვლილმა მთლიან ინფლაციაში 5.1 პპ შეადგინა. გასული წლის ოქტომბერში გაძვირების შემდეგ, სურსათიდან ყველაზე გამოსარჩევი პური გახდა. სამომხმარებლო კალათაში პურს ყველაზე დიდი წონა (3.85%) აქვს. ამ პროდუქტის წლიური გაძვირება თებერვალში 22.3 პროცენტს გაუტოლდა, რის გამოც ინფლაციაზე მისმა გავლენამ 0.8 პპ-ს მიაღწია. კარტოფილის წვლილი 0.4 პპ-ს, ხოლო კვერცხის და ყველის გაძვირების წვლილი ინფლაციაში თითოეულისთვის 0.3 პპ-ს შეადგენდა.

2021 წლის თებერვალთან შედარებით ბენზინი - 29.3, დიზელი 25.0, ხოლო გაზის საწვავი 17.6 პროცენტით იყო გაძვირებული, რითაც საწვავის წვლილი წლიურ ინფლაციაში 1.5 პპ-ს უტოლდებოდა. ჯანმრთელობის დაცვა წლიურად 6.5 პროცენტით გაძვირდა (0.6 პპ წვლილი ინფლაციაში).

საბაზო ინფლაცია, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მაღალი მერყეობით გამორჩეულ სურსათის, ენერგომატარებლების და თამბაქოს ფასებს გამორიცხავს, 5.1 პროცენტამდე შემცირდა.


მთლიანი და საბაზო (სურსათისა და ენერგომატარებლების და თამბაქოს გარეშე) ინფლაცია



წყარო: საქსტატი

¹ მთავრობის მიერ კომუნალური გადასახადების სუბსიდირების გამო 2020 წლის დეკემბერში კომუნალური გადასახადების ინდექსები ნოემბერთან შედარებით შემცირდა, ხოლო 2021 მარტში ეს ინდექსები ნოემბრის დონესთან შედარებით მცირედით გაიზარდა. თუმცა, პროცენტულად ზრდა გაცილებით მეტი გამოვიდა, ვიდრე - შემცირება. კომუნალური გადასახადების უცვლელი წონის პირობებში, აღნიშნულმა სხვაობამ წლიური ინფლაციის დონე მომდევნო ერთი წლის მანძილზე დაახლოებით 1.2 პროცენტული პუნქტით გაზარდა.


წლიური ფასების ცვლილება სამომხმარებლო კალათის ჯგუფების მიხედვით



წყარო: საქსტატი

თებერვალში წლიურმა ინფლაციამ ადგილობრივი შესაბამისად 10.5, 15.3 და 18.7 პროცენტი შეადგინა. რიგ, შერეულ და იმპორტირებულ საქონელზე

იმპორტირებული და ადგილობრივი საქონლის ინფლაცია




წყარო: საქსტატი

თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ხანმოკლე მოხმარების საქონელი და მომსახურება შესაბამისად, 1.2 და 1.0 პროცენტით გაძვირდა. საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 1.7 და 0.3 გაიზარდა.

წლიური მაჩვენებლების მიხედვით, ხანმოკლე, საშუალო და ხანგრძლივი მოხმარების საქონელი, შესაბამისად, 20.1, 3.4 და 1.8 პროცენტით გაძვირდა. მომსახურებაზე ფასებმა 5.9 პროცენტით მოიმატა.

წლიური ინფლაციის მაჩვენებლები სხვადასხვა ხანგრძლივობის მოხმარების საქონლისა და მომსახურებისათვის



წყარო: საქსტატი

ინფლაციის (სფი) მაჩვენებლები ცალკეული კომპონენტების მიხედვით (პროცენტი), მათი წონა სამომხმარებლო კალათაში (პროცენტი) და წვლილი სფი-ში (პროცენტული პუნქტი).

	2022 წლის წონები	თებ22/იან22		თებ22/თებ21	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.9%	0.9%	13.7%	13.7%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	32.2%	2.1%	0.7%	17.3%	5.7%
სურსათი	28.9%	1.7%	0.5%	17.2%	5.1%
პური და პურპროდუქტები	5.6%	1.7%	0.1%	20.8%	1.2%
ხორცი და ხორცპროდუქტები	6.8%	0.1%	0.0%	11.0%	0.7%
თევზი	0.5%	1.4%	0.0%	18.2%	0.1%
რძე, ყველი და კვერები	6.3%	-2.7%	-0.2%	14.4%	0.9%
ზეთი და ცხიმი	1.9%	3.0%	0.1%	17.4%	0.4%
ხილი, ყურძენი	1.6%	4.2%	0.1%	15.5%	0.3%
ბოსტნეული, ბაღყეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.3%	10.8%	0.4%	34.0%	1.2%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.3%	3.1%	0.1%	15.6%	0.3%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.6%	0.0%	3.8%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	3.3%	5.4%	0.2%	19.2%	0.6%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.4%	1.3%	0.1%	6.1%	0.4%
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	3.8%	-4.1%	-0.2%	-1.6%	-0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.0%	0.2%	0.0%	45.8%	3.2%
ავიჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.3%	0.4%	0.0%	9.9%	0.5%
ჯანმრთელობის დაცვა	7.8%	-0.4%	0.0%	6.5%	0.6%
ტრანსპორტი	13.0%	1.0%	0.1%	14.5%	1.7%
კავშირგაბმულობა	3.6%	1.8%	0.1%	1.1%	0.0%
დასვენება, გართობა და კულტურა	3.7%	2.1%	0.1%	1.7%	0.1%
განათლება	4.6%	-0.2%	0.0%	3.4%	0.2%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	5.4%	0.3%	0.0%	12.1%	0.5%
სხვადასხვა საკონელი და მომსახურება	5.3%	0.5%	0.0%	5.1%	0.3%
ხანმოკლე მოხმარების საკონელი	58.1%	1.2%	0.8%	20.1%	11.8%
საშუალო მოხმარების საკონელი	7.3%	-1.7%	-0.1%	3.4%	0.3%
ხანგრძლივი მოხმარების საკონელი	4.5%	-0.3%	0.0%	1.8%	0.1%
მომსახურება	30.1%	1.0%	0.3%	5.9%	1.7%

წყარო: საქსტატი


2. მონეტარული აგრეგატების დინამიკა

მონეტარული აგრეგატები

2022 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 112.2 მლნ ლარით (2.3 პროცენტით) გაიზარდა და საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის 5.0 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით,

წინა თვესთან შედარებით, მონეტარული ბაზა 126.4 მლნ ლარით (2.5 პროცენტით) შემცირდა. პერიოდის ბოლოსთვის, სარეზერვო ფულის წლიური ზრდის ტემპი -0.3 პროცენტს გაუტოლდა.

სარეზერვო ფულის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში შიდასამთავრობო კონვერტაციებით, ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 58.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. სავალუტო ინტერვენციებით ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვებმა, თვის განმავლობაში 11.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები დაახლოებით 47.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა.

თებერვალში, მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 53.5 მლნ ლარით შემცირდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის 971.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

საანგარიშო პერიოდში, განთავსდა 20.0 მლნ ლარის მოცულობის და დაიფარა 20.0 მლნ ლარის ოდენობის სადეპოზიტო სერთიფიკატები.

აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რეფინანსირების სესხების მოცულობა წინა თვესთან შედარებით 90.0 მლნ ლარით შემცირდა და 1,560.0 მლნ ლარი შეადგინა. ერთთვიანი სესხის მოცულობა უცვლელია და 400 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ერთდღიანი სესხი 238.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამავე პერიოდში, მცირე და საშუალო ბიზნესის

ლიკვიდობის მხარდამჭერი სესხის ნაშთის ოდენობა 17.8 მლნ ლარით შემცირდა და 571.9 მლნ ლარს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 130.2 მლნ ლარით გაიზარდა და პერიოდის ბოლოსთვის, 2,758.8 მლნ ლარს გაუტოლდა. გარდა ამისა, თვის განმავლობაში 3.0 მლნ ლარით შემცირდა სავალუტო სვოპის მოცულობა. მეორად ბაზარზე სახაზინო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვამ 50.0 მლნ ლარი შეადგინა და პორტფელის მოცულობა 50.0 მლნ ლარით გაიზარდა.

ზემოაღნიშნული ფულადი ნაკადების მოძრაობის ზეგავლენით, თვის განმავლობაში, სარეზერვო ფულის მოცულობა 112.2 მლნ ლარით გაიზარდა. მათ შორის, ნაღდი ფული მიმოქცევაში - 53.7 მლნ ლარით, ხოლო საქართველოს ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების ეროვნული ვალუტით განთავსებულ საკორესპონდენტო ანგარიშებზე ნაშთები - 1.2 მლნ ლარით შემცირდა. ამასთან. კომერციული ბანკების ერთდღიან დეპოზიტებზე არსებული ნაშთების ოდენობა 59.7 მლნ ლარით გაიზარდა.

სარეზერვო ფულის დინამიკა; პერიოდის ბოლო (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22
სარეზერვო ფული	4,848,754	4,960,912
ფული მიმოქცევაში	4,203,239	4,256,935
ბანკების დეპოზიტები	645,515	703,977
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	568,824	567,577
ერთდღიანი დეპოზიტები	76,690	136,400

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საშუალო სარეზერვო ფულის დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22
სარეზერვო ფული	5,008,242	4,881,893
ფული მიმოქცევაში	4,354,002	4,217,943
ბანკების დეპოზიტები	654,239	663,949
საკორესპონდენტო ანგარიშზე ნაშთები	593,909	574,866
ერთდღიანი დეპოზიტები	60,330	89,083

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ფართო ფული

2022 წლის თებერვალში, ფართო ფულის, M3-ის აგრეგატი 821.2 მლნ ლარით გაიზარდა და თვის ბოლოსათვის 33.6 მლრდ ლარი შეადგინა. წლიური ზრდის ტემპი 8.1 პროცენტი იყო. საანგარიშო პერიოდში, უცხოური ვალუტით დეპოზიტებზე 630.5 მლნ ლარით ზრდა დაფიქსირდა და თებერვლის ბოლოსათვის 17.86 მლრდ ლარს გაუტოლდა, რაზეც

მეტწილად კურსის გაუფასურებამ იქონია გავლენა. ამავე პერიოდში, 184.7 მლნ ლარით გაიზარდა ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტების ოდენობა და მისმა მოცულობამ - 12.4 მლრდ ლარი შეადგინა. ფართო ფული M2-ის მაჩვენებელი, საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით 190.7 მლნ ლარით 15.75 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

ფულადი აგრეგატების დინამიკა (ათასი ლარი)

	იან-22	თებ-22
ფართო ფული /M3/	32,790,664	33,611,863
ფულადი მასა /M2/	15,558,051	15,748,745
ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული	3,302,076	3,308,070
ლარები მიმოქცევაში	4,203,239	4,256,935
დეპოზიტები ეროვნული ვალუტით	12,255,975	12,440,674
დეპოზიტები უცხოური ვალუტით	17,232,613	17,863,119

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


3. საბანკო სექტორი

2022 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, საბანკო სისტემის სადეპოზიტო ვალდებულებები 850.4 მლნ ლარით (2.3 პროცენტით) გაიზარდა და 37.6 მლრდ ლარს გაუტოლდა. 2021 წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებაში, მთლიანი დეპოზიტების მოცულობა 4.4 პროცენტით

არის გაზრდილი. სადეპოზიტო ვალდებულებების ზრდაზე გავლენა როგორც ეროვნული ვალუტის დეპოზიტებმა, ასევე უცხოური ვალუტის კურსის გაუფასურების შედეგად ლარით გამოსახული მაჩვენებლების მატებამ მოახდინა.

სადეპოზიტო ვალდებულებები

მილიარდი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში, წინა თვესთან შედარებით, ლარით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა 111.2 მლნ ლარით (0.7 პროცენტით) გაიზარდა და 15.2 მლრდ ლარი შეადგინა. სამთავრობო სექტორის დეპოზიტები კლების მიმართულებით მოქმედებდა (შემცირდა 56.0 მლნ ლარით). იურიდიული პირების დეპოზიტები 82.3 მლნ ლარით, ხოლო ფიზიკური პირების დეპოზიტები კი 84.9 მლნ ლარით გაიზარდა.


კომერციულ ბანკებში, უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 0.1 პროცენტთან (5.4 მლნ აშშ დოლარი) ზრდა დაფიქსირდა და პერიოდის ბოლოს, 7.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ზრდა, ძირითადად, იურიდიული პირების დეპოზიტების მატებით არის განპირობებული.

სავალუტო და სალარე დეპოზიტების ზრდის ტემპებიდან გამომდინარე, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი, 2022 წლის თებერვალში 0.6 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 59.5 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდის ბოლოს, იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია, შესაბამისად, 48.0 და 73.5 პროცენტს შეადგენდა.


მიმდინარე წლის თებერვალში წინა თვესთან შედარებით, საშუალო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 7.2 პროცენტს გაუტოლდა. ეროვნული ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებზე, ბანკების

მიერ გადახდილი სარგებლის წლიური საშუალო შეწონილი განაკვეთი წინა პერიოდთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით მოიმატა და 11.0 პროცენტს გაუტოლდა. იურიდიული პირების ეროვნული ვალუტით დეპოზიტებზე, წინა თვესთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით მატება დაფიქსირდა და 10.8 პროცენტს შეადგინა. ფიზიკური პირების დეპოზიტებზე წლიური განაკვეთები წინა თვესთან შედარებით 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 11.5 პროცენტს გაუტოლდა. უცხოური ვალუტით მოზიდული დეპოზიტების წლიური განაკვეთი გაზრდილია 0.1 პროცენტული პუნქტით და 1.0 პროცენტს შეადგენს. მათ შორის, უცხოური ვალუტით იურიდიული პირების დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით 2.8 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე განაკვეთი 0.8 პროცენტის ნიშნულზეა. 2021 წლის თებერვლის არსებულ განაკვეთებთან შედარებით, ეროვნული ვალუტით დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 2.8 პროცენტული პუნქტით 11.0 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების განაკვეთებზე 0.9 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა წინა წლის დეკემბერთან შედარებით და 1.0 პროცენტს გაუტოლდა.

დეპოზიტები ეროვნული ვალუტით




დეპოზიტები უცხოური ვალუტით



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დეპოზიტების ზრდის ტემპი წინა თვესთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2021 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, კომერციული ბანკების მიერ ეკონომიკის დაკრედიტების მოცულობა 1,016.6 მლნ ლარით გაიზარდა და მთლიანი მოცულობა 42.7 მლრდ ლარს გაუტოლდა. საკრედიტო პორტფელის მატება ეროვნული და უცხოური ვალუტით დაკრედიტების ზრდასა და ასევე, გარკვეულწილად, გაცვლითი კურსის გაუფასურების ფონზე, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების ლარით გამოსახული მაჩვენებლის მატებას უკავშირდება.

კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების პორტფელის წლიურმა ზრდის ტემპმა კი 12.7 პროცენტი შეადგინა. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე კი, სესხების წლიური ზრდა 17.8 პროცენტი იყო. საკრედიტო პორტფელის 89.2 პროცენტი გრძელვადიან სესხებზე მოდიოდა, რომლის 52.3 პროცენტი უცხოური ვალუტით იყო გაცემული. მოკლევადიან სესხებში კი უცხოური ვალუტით სესხების წილი 41.2 პროცენტს შეადგენდა.

სესხების ზრდის ტემპი წინა თვესთან




საანგარიშო პერიოდში, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხები 91.0 მლნ ლარით (0.46 პროცენტით) გაიზარდა და 20.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. აღნიშნული ცვლილება, ძირითადად ფიზიკური პირების დაკრედიტების ზრდით იყო განპირობებული.

უცხოური ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა თებერვალში 81.4 მლნ აშშ დოლარით (1.2 პროცენტით) გაიზარდა, წინა თვესთან შედარებით, მოკლევადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


და პერიოდის ბოლოს 7.08 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამ კატეგორიის კრედიტების 62.0 პროცენტს იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები შეადგენს, ხოლო 52.3 პროცენტი გრძელვადიან დაკრედიტებას უჭირავს.

საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 1.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 51.0 პროცენტს გაუტოლდა.

მილიონი ლარი




მოკლევადიანი სესხები უცხოური ვალუტით



გრძელვადიანი სესხები ეროვნული ვალუტით


მილიონი ლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გრძელვადიანი სესხები უცხოური ვალუტით

მილიონი ლარი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვლის თვეში, ვადაგადაცილებული სესხები 71.2 მლნ ლარით გაიზარდა და 582.5 მლნ ლარს გაუტოლდა. მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.3 პროცენტი იყო.

ვადაგადაცილებული სესხების 43.2 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ვადაგადაცილებული დავალიანება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საბანკო სისტემაში საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები სესხებზე მიმდინარე წლის თებერვალში 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტს შეადგინა. უცხოური ვალუტით დენომინირებულ სესხებზე საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი 0.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 6.4 პროცენტი შეადგინა. ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.4 პროცენტული პუნქტით, 16.4 პროცენტამდე შემცირდა. ეროვნული ვალუტით სესხების შემთხვევაში, საპროცენტო ფიზიკური პირების საპროცენტო განაკვეთები 0.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა განაკვეთებმა ფიზიკური პირებისთვის 18.5 პროცენტი ეადგინა, ხოლო

იურიდიული პირების სესხებზე 0.2 პროცენტული პუნქტით, წლიურ 13.3 პროცენტამდე გაიზარდა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, იურიდიული პირების სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 0.1 პროცენტული პუნქტით 6.7 პროცენტამდე გაიზარდა, ხოლო ფიზიკური პირების მიერ უცხოური ვალუტით აღებული სასესხო განაკვეთები 0.3 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 5.5 პროცენტს გაუტოლდა. წინა წლის თებერვალთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტის სესხებზე 0.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო ეროვნული ვალუტის სესხებზე 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

სესხების და დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


4. სავალუტო ბაზარი

გაცვლითი კურსი

2022 წლის თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 3.0803-დან 3.0081-მდე (2.3 პროცენტით), ხოლო ევროს მიმართ საშუალოდ 3.4889-დან

3.4115-მდე (2.2 პროცენტით) გამყარდა. ხოლო თვის ბოლოს კი ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 3.1540 და 3.5255 შეადგინა, შესაბამისად.

ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ, თვის საშუალო




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საანგარიშო პერიოდში ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალურმა მნიშვნელობამ - 3.1540, ხოლო მინიმალურმა 2.9200 შეადგინა. შესაბამისად, თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან მაქსიმალური გადახრა - 4.9 პროცენტი, ხოლო მინიმალური -2.9 პროცენტი დაფიქსირდა.

თვის საშუალო მაჩვენებლებით, საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე დოლარი სომხური დრამის მიმართ - 0.3 პროცენტით და ევროს მიმართ 0.1 პროცენტით გამყარდა, ხოლო რუსული რუბლის მიმართ - 1.2 პროცენტით და თურქული ლირის მიმართ - 0.8 პროცენტით გაუფასურდა, აზერბაიჯანული მანათის მიმართ კი პრაქტიკულად უცვლელი დარჩა¹.

ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველდღიური მერყეობის დიაპაზონი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


¹ წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წინა თვესთან შედარებით ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 1.9 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 2.8 პროცენტით გამყარდა. წლიურად, ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი - 24.4 პროცენტით, ხოლო ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი 25.3 პროცენტით გამყარდა.

სავაჭრო პარტნიორთაგან თებერვალში წლიური ინფლაცია საქართველოში დაფიქსირებულ 13.7 პროცენტზე მაღალი იყო თურქეთში - 54.4 პროცენტი, ხოლო დაბალი იყო აზერბაიჯანში - 11.9 პროცენტი, უკრაინაში - 10.7 პროცენტი, ბელორუსში

- 10.0 პროცენტი, რუსეთში - 9.2 პროცენტი, აშშ-ში - 7.9 პროცენტი, სომხეთში - 6.5 პროცენტი და ევროზონაში - 5.8 პროცენტი.

ლარის რეალური და ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსების ინდექსები (დეკ 2012=100)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ბაზრის ტენდენციები


ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი

2022 წლის თებერვალში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაიზარდა. აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 104.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე - 49.3 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის თებერვლის მონაცემზე კი 19.1 მლნ აშშ დოლარით მეტია. იმავდროულად, ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით - 55.6 პროცენტით, წლიურად კი 83.1 პროცენტით გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში სავალუტო ბაზრის კონცენტრაცია შემცირდა: ბანკთაშორის სავალუტო გარიგებების მთლიანი თანხის 54 პროცენტი (იანვარი - 62 პროცენტი) ქვეყანაში მოქმედი 14 ბანკიდან და 5² არასაბანკო ორგანიზაციიდან 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციაზე მოდის. დადებული გარიგებების რაოდენობის მიხედვით, 5 ყველაზე აქტიურ ორგანიზაციას ბაზრის 53 პროცენტი (იანვარი - 58 პროცენტი) უჭირავს. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი შემცირდა და 8 პროცენტია (იანვარი - 10 პროცენტი), რაც დაბალი მაჩვენებელია და სავალუტო ბაზრის კონკურენტულობაზე მიუთითებს.

² რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში

ბანკათშორის სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის წვლილი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სავალუტო ვაჭრობა ბანკებსა და დანარჩენ კონომიკურ აგენტებს შორის

თებერვალში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები გაიზარდა. უცხოური ვალუტით ლარის ვაჭრობა თითქმის მთლიანად სპოტ³ გარიგებებით ხდებოდა (99.3 პროცენტი) და 1,872.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მონაცემთან შედარებით - 278.5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 653.3 მლნ აშშ დოლარით მეტია.

სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებზე (67.2 პროცენტი) მოდიოდა, დანარჩენი კი შინამეურნეობებზე (31.0 პროცენტი) და არარეზიდენტ ბანკებზე (1.2 პროცენტი). საქართველოს ეროვნული ბანკის წილი დაბალი, 0.6 პროცენტი, იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ თვის განმავლობაში 11.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

სებ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე (მლნ აშშ დოლარი)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

³ სპოტი გარიგება ხდება იმავდროული ვალუტირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


საერთო ჯამში, სპოტ გარიგებებით ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნამ 959.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელთან შედარებით - 131.6 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 348.9 მლნ აშშ დოლარით მეტია. სეგმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ სპოტ გარიგებებით იურიდიული პირების მიერ უცხოური ვალუტის ყიდვებმა 733.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, შინამეურნეობების შესყიდვები 209.3 მლნ აშშ დოლარი იყო, ხოლო არარეზიდენტი ბანკების - 5.0 მლნ აშშ დოლარი.

რაც შეეხება ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოური ვალუტის სპოტ გარიგებებით მიწოდებას, თებერვალში 913.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელთან შედარებით 146.9 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წლიურად 304.4 მლნ აშშ დოლარით მეტია. იურიდიულმა პირებმა 524.9 მლნ აშშ დოლარი გაყიდეს, შინამეურნეობებმა - 370.4 მლნ აშშ დოლარი, არარეზიდენტმა ბანკებმა კი - 17.6 მლნ აშშ დოლარი.

სპოტ გარიგებით შეძენილი უცხოური ვალუტა



სპოტ გარიგებით გაყიდული უცხოური ვალუტა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

თებერვალში სავალუტო ფორვარდ⁴ გარიგებებით ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუტით ვაჭრობამ 12.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც იანვრის მონაცემთან შედარებით - 3.0 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.3 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. მიმდინარე თვეში ფორვარდ გარიგებების 52.1 პროცენტი იურიდიულ პირებზე, ხოლო 47.9 პროცენტი შინამეურნეობებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური

აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა შესყიდვებმა 7.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


⁴ სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების ჰეჯირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

5. ბანკთაშორის ფულადი ბაზარი

სადეპოზიტო სერტიფიკატები თებერვალში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონზე ბანკების მხრიდან მოთხოვნამ 62.0 მლნ ლარი შეადგინა და სრულად განთავსდა 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები, საანგარიშსწორებო ფასით 19.5 მლნ ლარი. საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.04

პროცენტული პუნქტით, 10.41 პროცენტამდე, შემცირდა. თებერვალში არსებული დაფარვების გათვალისწინებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნომინალური მოცულობა არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.

3-თვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონის საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახაზინო ფასიანი ქაღალდების აუქციონები თებერვალში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ოთხი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 190.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები განთავსდა. საანგარიშსწორებო ფასმა 188.7 მლნ ლარი შეადგინა. ბანკების მხრიდან მოთხოვნამ ფასიან ქაღალდებზე ემისიას 2.2-ჯერ გადააჭარბა.


თებერვალში ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, ორწლიანი და ხუთწლიანი ვადიანობების სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 70 და 80 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. დაფარვების გათვალისწინებით, სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი 166.0 მლნ ლარით გაიზარდა და 5,851.5 მლნ ლარი შეადგინა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, თებერვალში, 6-თვიანი სახაზინო ვალდებულებების განაკვეთი 0.03 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 10.16 პროცენტი შეადგინა. ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საშუალო შეწონილი განაკვეთი

9.91 პროცენტი იყო, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 0.09 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. ორწლიანი და ხუთწლიანი სახაზინო ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთები წინა თვესთან შედარებით, შესაბამისად, 0.14 და 0.11 პროცენტული პუნქტებით შემცირდა და 9.79 და 9.69 პროცენტები შეადგინა.

ბოლო პერიოდის განმავლობაში არარეზიდენტებმა უფრო აქტიურად დაიწყეს სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, განსაკუთრებით კი მონეტარული პოლიტიკის გამკაცრების პარალელურად. 2022 წლის თებერვალში არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტფელის მოცულობა წინა თვესთან შედარებით 11.4 მლნ ლარით გაიზარდა და 537.2 მლნ ლარი შეადგინა. წლიურად კი აღნიშნული პორტფელი 162.0 მლნ ლარით არის შემცირებული. აღნიშნული ტენდენციების შედეგად, არარეზიდენტების წილმა მთლიან პორტფელში თებერვლის ბოლოს 9.2 პროცენტი შეადგინა.

შემოსავლიანობის მრუდი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის ზრდა შეინიშნებოდა, რაც ძირითადად უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის ზრდით იყო განპირობებული. ბაზრის მთლიანმა ბრუნვამ 3,659.1 მლნ ლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელზე 246.8 მლნ ლარით, ხოლო, წინა წლის თებერვალთან შედარებით 1,536.1 მლნ ლარით მეტია.


წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტის რესურსის ბრუნვა 91.9 მლნ ლარით (8.3 პროცენტი) შემცირდა, ხოლო, უცხოური ვალუტის რესურსის ბრუნვის მოცულობა 338.7 მლნ ლარით (14.7 პროცენტი) გაიზარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2021 წლის თებერვალში ლარის რესურსის ბრუნვა 412.9 მლნ ლარით (68.2 პროცენტი), ხოლო, უცხოური ვალუტის ბრუნვა 1,123.2 მლნ ლარით (74.0 პროცენტი) გაიზარდა.

თებერვალში ბანკთაშორისი ფულადი ბაზრის მთლიან ბრუნვაში ლარის რესურსის ხვედრითმა წილმა 27.8 პროცენტი შეადგინა, რაც წინა თვის მაჩვენებელზე 4.7 პროცენტული პუნქტით, ხოლო

წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე 0.7 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ლარის რესურსზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა თვესთან შედარებით 0.09 პროცენტული პუნქტით, ხოლო წლიურად 2.74 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 10.44 პროცენტი შეადგინა. უცხოური ვალუტის შემთხვევაში, განაკვეთი თვის განმავლობაში 0.64 პროცენტული პუნქტით შემცირდა, ხოლო წლიურად 0.92 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 1.20 პროცენტი.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ფულადი ბაზრის რესურსის 28.3 პროცენტი ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 69.8 პროცენტი კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

ბანკთაშორისი ფულადი ბაზარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


6. საგარეო სექტორის მიმოხილვა

2022 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 48.8 პროცენტით გაიზარდა და 566.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საანგარიშო თვეში საქონლის

რეგისტრირებულმა ექსპორტმა წლიურად 60.3 პროცენტით მოიმატა და 429.0 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო იმპორტი 53.5 პროცენტით 995.5 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საქონლის ექსპორტ-იმპორტის დინამიკა

მილიონი აშშ დოლარი




იმპორტი - 2022 წლის თებერვალში საქონლის იმპორტი წლიურად 53.5 პროცენტით გაიზარდა. რეგიონის ქვეყნებიდან იმპორტის ზრდაში მაღალი წვლილით გამოირჩეოდა თურქეთი, რაც, მსუბუქი ავტომობილების, ასევე ციტრუსებისა და სამკურნალო საშუალებების შემოტანას უკავშირდება. ხოლო იმპორტის ზრდა აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან - ნავთობპროდუქტების, უკრაინიდან - სამკურნალო საშუალებებისა და ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი ნაგლისის, სომხეთიდან და ბრაზილიიდან - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ჩინეთიდან - გამანათებელი მოწყობილობებისა და სატელეფონო აპარატების, ჩილედან და ინდონეზიიდან სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების გაზრდილმა შესყიდვებმა გამოიწვია. დანარჩენი ქვეყნებიდან,


კერძოდ, გაბონიდან - მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, ჰონკონგიდან - გამომთვლელი მანქანებისა და მათი ბლოკების იმპორტი გაიზარდა. ამის საპირისპიროდ, იმპორტის შემცირება აშშ-დან და იაპონიიდან მსუბუქი ავტომობილების შემოტანის კლებით არის გამოწვეული.

2022 წლის თებერვალში ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები იყო: თურქეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ჩინეთი, აშშ, გერმანია და უკრაინა. ჯამურად, 8 ძირითადი საგარეო პარტნიორზე მთლიანი იმპორტის 61 პროცენტი მოდიოდა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით იმპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის იმპორტის წლიური ცვლილება



იმპორტი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2022)



წყარო: საქსტატი

2022 წლის თებერვალში, იმპორტირებული საქონლის მნიშვნელოვან ნაწილს, 15.2 პროცენტს, სპილენძის მადნები და კონცენტრატები წარმოადგენდა, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში ყველაზე მაღალი 16.1 პპ წვლილი შეიტანა. საანგარიშო პერიოდში, იმპორტირებულ საქონელში, ასევე მნიშვნელოვანი წილით (9.0 პროცენტი) წარმოდგენილი იყო ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რომელთა ჯგუფმა იმპორტის ზრდაში 6.6 პპ წვლილი შეიტანა. იმპორტზე ზრდის მიმართულებით, აგრეთვე, ნავთობაირების და აირისებრი ნახშირწყალბადების, დაფასებული სამკურნალო საშუალებების, გამომთვლელი მანქანების, სატელეფონო აპარატების, მანგანუმის მადნებისა და კონცენტრატების, ასევე ნახშირბადიანი ფოლადის ბრტყელი

ნაგლინის ჯგუფების იმპორტმა (ჯამურად 8.7 პპ) მნიშვნელოვნად იმოქმედა. გარდა ამისა, თებერვალში გაიზარდა ელექტროენერგიის იმპორტი, რომელმაც მთლიან ზრდაში 0.5 პპ წვლილი შეიტანა. აღსანიშნავია, რომ თებერვალში იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

იმპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2022 თებერვალი		2022 იანვარი		2021 თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან იმპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	151 394.4	15.2%	2 458.6	0.3%	47 223.6	7.3%
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	89 936.6	9.0%	72 727.7	9.3%	46 830.4	7.2%
ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები სხვა	53 712.7	5.4%	65 622.6	8.3%	43 504.2	6.7%
მსუბუქი ავტომობილები	51 346.5	5.2%	82 618.7	10.5%	92 351.5	14.2%
დაფასებული სამკურნალო საშუალებები	28 278.2	2.8%	24 318.8	3.1%	21 864.3	3.4%
სატელეფონო აპარატები	22 807.3	2.3%	24 374.4	3.1%	12 710.9	2.0%
გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები	13 399.0	1.3%	18 761.1	2.4%	5 711.6	0.9%
მანგანუმის მადნები და კონცენტრატები	12 642.1	1.3%	2 079.1	0.3%	59.8	0.0%
ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადისაგან	10 635.5	1.1%	3 965.3	0.5%	1 301.2	0.2%
ელექტროენერგია	10 329.5	1.0%	11 282.2	1.4%	6 857.9	1.1%
სხვა	551 041.5	55.4%	477 957.6	60.8%	369 996.2	57.1%
სულ	995 523.3		786 166.0		648 411.5	


წყარო: საქსტატი

ექსპორტი 2022 წლის თებერვალში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი წლიურად 60.3 პროცენტით გაიზარდა. ზრდაში ყველაზე მაღალი 15.2 პპ-იანი წვლილი ჩინეთმა შეიტანა, რაც ძირითადად სპილენძის, ასევე ძვირფასი ლითონების მადნებისა და კონცენტრატებზე მოთხოვნის ზრდას უკავშირდება. რეგიონის ქვეყნებიდან საექსპორტო შემოსავლების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზერბაიჯანში ექსპორტის მატებამ, რაც მსუბუქი ავტომობილებისა და სატელეფონო აპარატების გაყიდვებს უკავშირდება. რეგიონის სხვა ქვეყნებიდან აღსანიშნავია სომხეთში - სატელეფონო აპარატებისა და ციტრუსების, თურქეთში - შავი ლითონების ჯართის, ტანსაცმლისა და ფეროშენადნობების, ყაზახეთში - მსუბუქი ავტომობილებისა და მინერალური წყლების, რუსეთში - ყურძნის ნატურალური ღვინოებისა და სპილენძის ჯართის,


უზბეკეთში - სამკურნალო საშუალებებისა და ორთოპედიული სამარჯვების ექსპორტის ზრდა. დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია აშშ-ში ფეროშენადნობების, ბულგარეთში - სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, პერუსა და ინდოეთში - მინერალური და ქიმიური სასუქების ექსპორტის მაღალი მაჩვენებლები. ამის საპირისპიროდ, ესპანეთში სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების, ხოლო უკრაინაში მსუბუქი ავტომობილებისა და გამომთვლელი მანქანების ექსპორტი მნიშვნელოვნად შემცირდა.

2022 წლის თებერვალში ძირითადი საექსპორტო ქვეყნები იყო: ჩინეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, აშშ, ბულგარეთი, თურქეთი და სომხეთი. ჯამურად, 7 ძირითადი სავაჭრო პარტნიორის წილმა მთლიანი ექსპორტის 68 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით ქვეყნების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

საქონლის ექსპორტის წლიური ცვლილება



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით (თებერვალი 2022)



წყარო: საქსტატი

2022 წლის თებერვალში ექსპორტიდან მიღებული შემოსავლების 60.3 პროცენტთან მატებაში ყველაზე დიდი წვლილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების (16.9 პპ) ექსპორტმა შეიტანა, რომლის წლიურმა ზრდამაც 100.8 პროცენტი შეადგინა. ექსპორტის მოცულობაზე ფეროშენადნობებზე, მინერალურ და ქიმიურ სასუქებზე, მსუბუქი ავტომობილებზე, ყურძნის ნატურალურ ღვინოებსა და დაფასოებულ სამკურნალო საშუალებებზე საგარეო მოთხოვნის მატება (ჯამურად 32.2 პროცენტული პუნქტი

წვლილი მთლიანი ექსპორტის ზრდაში) დადებითად აისახა. ამის საპირისპიროდ, სპირტიანი სასმელების ექსპორტი არსებითად შემცირდა. წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო ნაკლებად დივერსიფიცირებული იყო.

ექსპორტი პროდუქციის კატეგორიების მიხედვით

	2022 თებერვალი		2022 იანვარი		2021 თებერვალი	
	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში	ათასი აშშ დოლარი	წილი მთლიან ექსპორტში
სპილენძის მადნები და კონცენტრატები	89 947.4	21.0%	66 336.3	20.0%	44 799.6	16.7%
ფეროშენადნობები	69 053.4	16.1%	31 403.7	9.5%	28 844.8	10.8%
მინერალური ან ქიმიური სასუქები	40 609.7	9.5%	17 613.9	5.3%	12 557.7	4.7%
მსუბუქი ავტომობილები	36 182.8	8.4%	36 386.1	11.0%	25 088.4	9.4%
ყურძნის ნატურალური ღვინოები	18 513.4	4.3%	14 682.8	4.4%	14 538.5	5.4%
მინერალური და მტკნარი წყლები	11 973.4	2.8%	11 340.9	3.4%	9 613.9	3.6%
დაფასოებული სამკურნალო საშუალებები	9 158.0	2.1%	11 071.5	3.3%	6 250.0	2.3%
სპირტიანი სასმელები	8 745.0	2.0%	8 851.9	2.7%	11 366.7	4.2%
მაისურები, თბილი კვარტები და სხვა ტრიკოტაჟის ნაწარმი	6 988.4	1.6%	6 250.6	1.9%	5 042.6	1.9%
დაუმუშავებელი ოქრო	6 758.8	1.6%	6 673.5	2.0%	6 153.3	2.3%
სხვა	131 115.3	30.6%	120 735.0	36.4%	103 420.5	38.6%
სულ	429 045.6		331 346.1		267 676.1	


წყარო: საქსტატი

ფულადი გზავნილები 2022 წლის თებერვალში საქართველოში გადმორიცხული თანხების მოცულობამ წინა წელთან შედარებით 13.7 პროცენტით მოიმატა და 183.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 27.5 პროცენტით 26.7 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.

საანგარიშო თვეში რეგიონის ქვეყნებიდან ზრდის მაღალი ტემპით ყაზახეთიდან (680.7 პროცენტი) და ყირგიზეთიდან (225.2 პროცენტი) გადმორიცხული ფულადი სახსრები გამოირჩეოდა, რომელთა წვლილები მთლიანი გზავნილების ცვლილებაში, შესაბამისად, 7.4 და 1.4 პროცენტული პუნქტებით აისახა. ფულადი გადმორიცხვები ყველა მეზობელი ქვეყნიდან - რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემცირდა. საანგარიშო პერიოდში წლიურ დონეზე ევროკავშირის ქვეყნებიდან გადმორიცხული თანხები 13.5 პროცენტით გაიზარდა (5.9 კპ წვლილი), რაც, ძირითადად, გერმანიიდან (61.9 პროცენტით), იტალიიდან (15.4 პროცენტით) და საფრანგეთიდან (43.2 პროცენტით) გაზრდილმა გზავნილებმა განაპირობა. საბერძნეთიდან გზავნილების მოცულობა კვლავ (21.5 პროცენტით) შემცირდა. დანარჩენი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების ზრდაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა აშშ-დან (10.3 პროცენტით) და ისრაელიდან (1.2 პროცენტით) მიღებულმა თანხებმა. რაც შეეხება ქვეყნების მიხედვით განაწილებას, ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (44.0 პროცენტი), რუსეთი (12.0 პროცენტი) და აშშ (11.5 პროცენტი)


წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია გერმანიის, საბერძნეთისა და იტალიის მაღალი წილი მთლიან ფულად გზავნილებში.

წილი მთლიან ფულად გზავნილებში (თებერვალი 2022)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ქვეყნების წვლილი სწრაფი ფულადი გზავნილების ზრდაში




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმი 2022 წლის თებერვალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 274.8 პროცენტით გაიზარდა. ტურისტების რაოდენობამ მთლიანი ვიზიტორების

90.3 პროცენტი შეადგინა და წლიურად 282.4 პროცენტით მოიმატა. საანგარიშო თვეში ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა.

ვიზიტორები ტიპების მიხედვით



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია


2021 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში პანდემიის შემაკავებელი ზომების შერბილებამ და საზღვრების გახსნამ ტურიზმის დარგის გამოცოცხლებას ხელი შეუწყო და უცხოელი ვიზიტორების რაოდენობის ზრდა გაგრძელდა. 2022 წლის თებერვალში ვიზიტორების წლიურმა ზრდამ 274.8 პროცენტი შეადგინა, თუმცა ეს საბაზო ეფექტს უკავშირდება, ვინაიდან 2021 წელს ანალოგიურ პერიოდში ტურიზმი პრაქტიკულად გაჩერებული იყო. 2020 წლის თებერვალთან შედარებით კი 60.7 პროცენტით ნაკლები ვიზიტორი შემოვიდა. რეგიონის ქვეყნებიდან ყველაზე დიდი წვლილები ვიზიტორების ზრდაში რუსეთიდან (44.3 კპ), თურქეთიდან (33.6 კპ) და სომხეთიდან (28.6 კპ) შემოსულმა ვიზიტორებმა შეიტანეს. ევროკავშირის ქვეყნებიდან ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 11-ჯერ გაიზარდა, რამაც მთლიან ზრდაში 28.5 კპ წვლილი შეადგინა. განსაკუთრებით, პოლონეთიდან (5.1 კპ), გაერთიანებული სამეფოდან (3.9 კპ), გერმანიიდან (3.0 კპ) და ლიეტუვადან (2.8 კპ) შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ მოიმატა.

დანარჩენი ქვეყნებიდან აღსანიშნავია საუდის არაბეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, როგორც ზრდის ტემპით (681-ჯერ მეტი ვიზიტორი), ასევე მთლიან ზრდაში წვლილით (6.7 კპ). წინა თვის მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, ისრაელიდან შემოსული ვიზიტორთა რაოდენობა (200-ჯერ მეტი ვიზიტორი) მნიშვნელოვნადაა გაზრდილი, რაც ვიზიტორთა მთლიან ზრდაში მაღალი წვლილით (21.6 კპ) გამოირჩეოდა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 2022 წლის თებერვალში ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 85.2 მლნ აშშ დოლარით შემცირდა. საერთაშორისო რეზერვებზე კლების მიმართულებით, ძირითადად, მთავრობის სავალუტო ხარჯებმა, მათ შორის, საგარეო ვალის მომსახურებამ, ხოლო ზრდის მიმართულებით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი) მიღებულმა სესხებმა და სავალუტო ინტერვენციებმა იმოქმედა.

ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები

მილიარდი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, სანაპიროს ქ. N2
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

